საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3384/01
31/03/2020

3384-01-2-202003311057

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 11 მარტის N 22/1678 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი ჭაბურღილის მდებარეობიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე.

ასევე, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ გეოსაინფორმაციო პაკეტში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ჭალის ტერასაზე, ხოლო ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, რაც საჭიროებს დაზუსტეებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044